საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

თებერვალი, 2025

1

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია

საწვავის საცალო ფასები შემცირდა თითქმის ყველა რეგიონულ ლოკაციაზე 2024 წლის დეკემბრის კვარტალში

2024 წლის დეკემბრის კვარტალში საწვავის საცალო ფასების კვარტალური საშუალო მაჩვენებელი შემცირდა და რეალურ (ინფლაციით კორექტირებულ) პირობებში სამწლიანი მინიმუმი დაფიქსირდა, ამის შესახებ იტყობინება ACCC-ის უახლესი ბენზინის მონიტორინგის ანგარიში.

ხუთივე ყველაზე დიდ ქალაქში საშუალო ფასები კვარტალში 3.3 ცენტით გაიზარდა, რაც ძირითადად აისახება საცალო ფასების უმნიშვნელო ზრდასა და სხვა საბითუმო ხარჯებისა და მარჟებზე. ხუთივე უდიდეს ქალაქში (სიდნეი, მელბურნი, ბრიზბენი, ადელაიდა და პერთი) საშუალო ფასი 179.8 ცენტი ლიტრზე დაფიქსირდა, რაც 3.0 ცენტით ნაკლებია წინა კვარტალთან შედარებით. შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო წვრთნილი ბენზინის (Mogas 95) საერთაშორისო ფასების შემცირებით. Mogas 95-ის ფასები ძირითადად დამოკიდებულია საერთაშორისო ნედლეულის ფასებზე, რომლებიც შემცირდა

გლობალური ნავთობზე მოთხოვნის შემცირების შედეგად, აგრეთვე ნავთობის მიწოდების ზრდის ფონზე.



„მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ფაქტორების გამო, რომლებმაც გავლენა მოახდინა ნედლეულზე, ბენზინის ფასებმა აიწია 2024 წლის დასაწყისში, თუმცა ფასები ახლა უკვე დასუსტდა“ - განაცხადა ACCC-ს კომისარმა ანა ბრეიკიმ.

2024 წელს ხუთივე უდიდეს ქალაქში წლის საშუალო საწყისი სავარაუდო საცალო განსხვავებები იყო 16.3 ცენტი, რაც რეალურ (ინფლაციით კორექტირებულ) პირობებში ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე პანდემიის დროინდელი დონეები.

2024 წლის დეკემბრის კვარტალში ხუთივე უდიდეს ქალაქში საცალო დიზელის ფასების საშუალო კვარტალური მაჩვენებელი 177.1 ცენტი ლიტრზე იყო, რაც 8.4 ცენტით შემცირდა 2024 წლის სექტემბრის კვარტალთან შედარებით. მსგავსი შემცირება აღინიშნა ასევე კანბერაში, ჰობარტში და დარვინში. დაბალი საცალო დიზელის ფასები ძირითადად განპირობებული იყო საერთაშორისო დიზელის ფასების კლებით.



2024 წლის დეკემბრის კვარტალში დიზელის საცალო ფასების კვარტალური საშუალო მაჩვენებელი დედაქალაქებში.

წყარო:

2

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა კომისია

ონლაინ შოპინგისას დაბრუნების პოლიტიკა და პირობები

ACCC-მ 2000-ზე მეტი ავსტრალიური საცალო ვებგვერდი გადაამოწმა და აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი ბიზნესი იყენებს პირობებს, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ავსტრალიურ მომხმარებელთა კანონს.

Sweep-ის ფარგლებში გადამოწმდა ბიზნესების დაბრუნების პოლიტიკები და ვებგვერდის პირობები, რომელთა ნაწილიც შესაძლოა არაკეთილსინდისიერი ყოფილიყო მომხმარებლებისთვის. უწყებამ გამოავლინა მრავალი შემთხვევა, როდესაც ბიზნესები შესაძლოა მომხმარებლებს შეაცდინონ ან შეცდომაში შეიყვანონ მათი უფლებების შესახებ პროდუქტის გაცვლის, თანხის დაბრუნებისა თუ ნივთის დაბრუნების საკითხებში“.

Sweep-ის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე პოტენციურად არაკეთილსინდისიერი განცხადება, მათ შორის:

- პროდუქტის დაბრუნებაზე დროის შეზღუდვის დაწესება;
- ერთიანი არ დაბრუნების პირობების დაწესება გაყიდვაზე ან სპეციალიზირებულ ნივთებზე;
- მწარმოებლის გარანტიების მითითება როგორც ერთადერთი საშუალება კომპენსაციის მოთხოვნისთვის;
- მომხმარებელთა უფლებების შეზღუდვა.

Sweep-მა ასევე გამოავლინა შემდეგი პრობლემური განცხადებები:

- გახსნილი და გამოყენებული პროდუქტები არ შეიძლება დაბრუნდეს
- შეკვეთით დამზადებული ნივთები არ შეიძლება დაბრუნდეს
- ფასდაკლებული ნივთები არ შეიძლება დაბრუნდეს ან გაიცვალოს
- თუ ნივთი დაზიანებულია გთხოვთ, გაგვაგებოთ 30 დღის განმავლობაში

Sweep-ის შედეგების საფუძველზე ACCC-მ გაფრთხილების წერილები გაუგზავნა რამდენიმე ბიზნესს. „ჩვენმა მოქმედებამ გამოიწვია ის, რომ უმრავლესობამ შეცვალა ან ამოიღო მომხმარებლის უფლებების დამრღვევი განცხადებები ვებგვერდებიდან და გაუმჯობესდა მომხმარებელთა გარანტიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება“ — განაცხადა უწყებამ.

წყარო:

1

გერმანიის კონკურენციის უწყება (BUNDESKARTELLAMT)

საწვავის სექტორული მოკვლევის საბოლოო ანგარიში

ფედერალურმა უწყებამ დაასრულა გადასამუშავებელი ქარხნებისა და საწვავის საბითუმო მოვაჭრეების სექტორული მოკვლევა და საბოლოო, ყოვლისმომცველი ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში განხილულია ნავთობის ინდუსტრიის ბაზრის სტრუქტურები, ფასების ფორმირების მექანიზმები და აღნიშნულია კონკურენციის გაძლიერების შესაძლო გზები. უწყებამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ფასების ხშირ ცვლილებებზე.

„კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ გერმანიის ნავთობის სექტორში კონკურენცია მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნედლი ნავთობის იმპორტზე, ხოლო ბაზარი დომინირებულია ვერტიკალური ინტეგრაციისა და ნავთობკომპანიების ურთიერთდამოკიდებულების გამო“ - განაცხადა უწყებამ.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფასის კვოტირება ნავთობის ინდუსტრიაში ფასების ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ. საერთაშორისო ბაზრებზე ნედლი ნავთობის ღირებულება, როგორც წესი, ფასების კვოტირების საფუძველზე განისაზღვრება.

გადასამუშავებელი ქარხნებიდან ნავთობპროდუქტების რეალიზაცია საბითუმო ბაზარზე ძირითადად გრძელვადიანი მიწოდების კონტრაქტებით (term contracts) ხდება, მაშინ როდესაც ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შედარებით მცირეა. გრძელვადიანი კონტრაქტების ფასები, როგორც წესი, ფასების კვოტირებაზეა მიბმული და საბოლოო ღირებულება განისაზღვრება კონკრეტულ დროს მოქმედი ფასის მიხედვით.

გერმანიაში ფასთა კვოტირებები ძირითადად ორი კომპანიის მიერ ქვეყნდება, რომლებიც ინდუსტრიისთვის ფასების მონიტორინგის მომსახურებას უზრუნველყოფენ. მათი გათვლები ეფუძნება ბაზრის მონაწილეების მიერ მიწოდებულ მონაცემებსა და ყოველდღიურ ანგარიშებს.

„მიუხედავად იმისა, რომ ფასთა კვოტირებები კონკურენციისთვის აუცილებელი მექანიზმია, ჩვენ ვხედავთ მნიშვნელოვან რისკებს მათ დღევანდელ ფორმატში" - განაცხადა უწყებამ.

ბაზრის მაღალი გამჭვირვალეობა აძლიერებს კონკურენტების ფასების პოლიტიკის კონტროლს, რაც ზრდის კარტელური გარიგებების რისკს და შეიძლება კონკურენტულ დონეზე უფრო მაღალი ფასების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. მეორე მხრივ, არსებობს საფრთხე, რომ ცალკეულ მოთამაშეებს შეეძლოთ ფასთა კვოტირების მანიპულირება, მაგალითად, სელექციური ანგარიშგების გზით.

საწვავისა და გამათბობელი ზეთის კომერციული მომხმარებლები ხშირად დამოკიდებულნი არიან ადგილობრივ მომწოდებლებზე. გერმანიაში წარმოებული ან იმპორტირებული ნავთობპროდუქტები*ან პირდაპირ ქარხნებიდან იყიდება, ან საბითუმო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით ნაწილდება.

ბენზინგასამართ სადგურებზე ფასები ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად იცვლება.

თუ 2014 წელს ფასები დღეში საშუალოდ 4-5-ჯერ იცვლებოდა, 2024 წლის დასაწყისში ეს მაჩვენებელი უკვე 18-მდე გაიზარდა და ტენდენცია კვლავ მზარდია.

ბენზინგასამართ სადგურებზე ფასების ხშირი ცვლილება მომხმარებლებისთვის დამატებით სირთულეს ქმნის, მათ უჭირთ საწვავის ფასების შედარება და ხელსაყრელ დროს შეძენა.

სექტორული მოკვლევის დაწყების მიზეზი საწვავის ფასების მკვეთრი ზრდა იყო, რომელიც დაფიქსირდა რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის (2022 წლის თებერვალი) შემდეგ.

[წყარო:]

1

ნიდერლანდების მომხმარებლთა და ბაზრების უწყება

როტერდამის რაიონულმა სასამართლომ LEADIANT-ზე დაკისრებული ჯარიმა ძალაში დატოვა

ნიდერლანდების მომხმარებელთა და ბაზრების უწყებამ (ACM) დაადგინა, რომ კომპანია Leadiant-მა ბოროტად გამოიყენა დომინანტური მდგომარეობა და რეცეპტულ მედიკამენტ

CDCA-Leadiant-ზე გაუმართლებლად მაღალი ფასი დააწესა. ეს დასკვნა როტერდამის რაიონულმა სასამართლომ 2025 წლის 13 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებაში დაადასტურა.

ACM-მა Leadiant-ს ჯარიმა დაუწესა, რადგან 2017-2019 წლებში, 2.5 წლის განმავლობაში, CDCA-Leadiant-ის ფასი უპრეცედენტოდ გაიზარდა. CDCA ქრონიკული ნაღვლის მჟავების არასაკმარისი გამომუშავებით (CTX) გამოწვეული იშვიათი მეტაბოლური დაავადების მქონე პაციენტებისთვის აუცილებელი პრეპარატია. აღნიშნულ პერიოდში ნიდერლანდებში CTX-ით დაავადებული პაციენტების სამკურნალოდ მხოლოდ CDCA-Leadiant გამოიყენებოდა, რადგან ალტერნატიული პრეპარატი ბაზარზე არ არსებობდა.

Leadiant-მა მედიკამენტის ფასი დაახლოებით €46-დან თითქმის €14,000-მდე გაზარდა ერთ შეფუთვაზე, გაუმართლებელი მიზეზების გარეშე. კომპანიამ ვერც ინოვაციით და ვერც მნიშვნელოვან ინვესტიციებით გაამართლა ფასის ზრდა.

სასამართლომ ACM-ის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. Leadiant-მა სასამართლოში ACM-ის გადაწყვეტილების გასაჩივრება სცადა, ამტკიცებდა რა, რომ ჯარიმა უსამართლოდ დაეკისრა და პროცედურული დარღვევები არსებობდა. თუმცა, როტერდამის რაიონულმა სასამართლომ კომპანიის პოზიცია არ გაიზიარა.

[წყარო:]

1

კანადის კონკურენციის ბიურო

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხუთმა პირმა 54 ხელშეკრულება გააყალბა

კანადის პროვინცია მანიტობის ქალაქ ბრენდონში ხუთმა კონტრაქტორმა ბრალი აღიარა და მათ ჯამში 196,000 კანადური დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრათ. 2011 წლის დეკემბრიდან 2016 წლის თებერვლამდე, აღნიშნულმა ხუთმა კონტრაქტორმა კოორდინირებულად იმოქმედა, რათა მანიტობის საცხოვრებელი და განახლების კორპორაციის მიერ გამოცხადებული 54 სოციალური საცხოვრისის ტენდერი წინასწარ გაენაწილებინათ. მათ წინასწარ განსაზღვრეს, ვინ მოიგებდა თითოეულ ტენდერს და რა ფასად შესრულდებოდა სამუშაოები, რის შედეგადაც ხელოვნურად გაიზარდა პროექტების ღირებულება და ზიანი მიადგა გადასახადის გადამხდელებს.

უმაღლესმა სასამართლომ მათ შემდეგი ოდენობის ჯარიმები დააკისრა:

Geoff Gregoire – $61,000

James Kauk – $53,000

Guy Pringle – $33,000

Doug Gunnarson – $25,000

Ryan Lamont – $24,000

წყარო:

1

ფედერალური სავაჭრო კომისია (FTC)

აშშ-ის ფედერალური სავაჭრო კომისია 19.8 მილიონ დოლარზე მეტს აუნაზღაურებს მომხმარებლებს

აშშ-ის ფედერალური სავაჭრო კომისია (FTC) მომხმარებლებს 19.8 მილიონ დოლარზე მეტ თანხას უნაზღაურებს Aqua Finance-ის გაყიდვების შეცდომაში შემყვანი პრაქტიკის შედეგად მიყენებული ზიანის გამო.

FTC-მ 2024 წლის მაისში Aqua Finance-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. უწყების მტკიცებით, კომპანიის პარტნიორი დილერები, რომლებიც ყიდდნენ წყლის ფილტრაციისა და წყლის დამარბილებელ სისტემებს, მომხმარებლებს კრედიტის პირობებზე არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ.

საჩივრების მიხედვით, მომხმარებლებს არაპროფესიონალურად და არაგამჭვირვალედ მიაწოდეს კრედიტის პირობები, რის შედეგადაც მათ ასობით ან ათასობით დოლარის დამატებითი დავალიანება და მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაეკისრათ. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიამ მომხმარებლებს საცხოვრებელი სახლის გაყიდვა ან რეფინანსირებაც კი გაურთულა.

FTC-თან მიღწეული შეთანხმების შედეგად, Aqua Finance-მა ვალდებულება აიღო, გაამკაცროს კონტროლი საკუთარ დილერებზე და მომხმარებლებს უფრო გამჭვირვალე ინფორმაცია მიაწოდოს.

შეთანხმების ფარგლებში, კომპანიას დაევალა 23.6 მილიონი დოლარის დავალიანების ჩამოწერა დაზარალებული მომხმარებლებისთვის, ასევე თანხის გამოყოფა კომპენსაციისთვის.

წყარო:

1

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა არასამართლიან კომერციულ ფაქტზე

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა Poltronesofà -ის წინააღმდეგ სავარაუდო არასამართლიანი კომერციული პრაქტიკის გამო. საკითხი ეხება ტელევიზიით, რადიოთი, სოციალური მედიისა და ინტერნეტ რეკლამებში არასწორად წარმოდგენილ ფასებსა და ფასდაკლებებს. განსაკუთრებით, მასშტაბურ მარკეტინგულ კამპანიებში ხაზგასმით იყო აღნიშნული ფასდაკლებების არსებობა და მათი სასარგებლო პირობები, რომლებიც ხასიათდებოდა დროის შეზღუდვებით (მაგალითად, სლოგანით "შაბათს სრულდება"), მაგრამ ეს ფასდაკლებული ფასები ეფუძნება საწყისად განსაზღვრულ უკიდურესად მაღალ ფასებს, რომლებიც კომპანიაში პრაქტიკულად არასოდეს ან მხოლოდ იშვიათად გამოიყენება. შესაბამისად, ჩანს, რომ Poltronesofà-მ მომხმარებლები დაარწმუნა შეეძინათ ფასდაკლებული დივნები და მიეღოთ შესყიდვის გადაწყვეტილება.

კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლებმა, იტალიის ფინანსური პოლიციის (Guardia di Finanza) სპეციალური ანტიმონოპოლიური დანაყოფის დახმარებით ჩაატარეს ინსპექტირება Poltronesofà-ს ოფისებში.

წყარო:

2

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო მოკვლევა კომპანიების CK BYD, STELLANTIS, TESLA და VOLKSWAGEN წინააღმდეგ

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაიწყო ოთხი მოკვლევა BYD Industria Italia, Stellantis Europe, Tesla Italy და Volkswagen Group Italia წინააღმდეგ, სავარაუდო არამართლზომიერი კომერციული პრაქტიკის გამო. მოკვლევა ეხება მომხმარებლებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას ელექტრომობილების სვლის მარაგის, ბატარეის მოცულობის და სტანდარტული ბატარეის გარანტიებზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ, რაც შესაძლოა, არღვევდეს მომხმარებელთა კოდექსს.

კერძოდ, აღნიშნული კომპანიების ვებსაიტებზე წარმოდგენილი იყო ზოგადი და ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი ინფორმაცია მათი ელექტრომობილების სვლის მარაგის შესახებ, დამატებითი განმარტების გარეშე. გარდა ამისა, როგორც ჩანს, კომპანიის ვებსაიტებმა ვერ უზრუნველყვეს მომხმარებლებისთვის ბატარეის მოცულობის და მისი ნორმალური ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ცვლილებების შესახებ მკაფიო და სრულყოფილი ინფორმაცია, ისევე როგორც სტანდარტული ბატარეის გარანტიის პირობებისა და შეზღუდვების შესახებ.

[წყარო:]

1

ბულგარეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის კომისია

კონკურენციის დაცვის კომისია იძიებს სწრაფი მოხმარების პროდუქტების ფასებსა და ბაზრის პირობებს

ბულგარეთის კონკურენციის დაცვის კომისიამ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და ფართომასშტაბიანი მოკვლევის პარალელურად, მოითხოვა ინფორმაცია სწრაფი მოხმარების პროდუქტების მწარმოებლებისა და მოვაჭრეებისგან. კომისიის მიზანია

გაანალიზოს ფასების დადგენის მეთოდები, მიწოდების პირობები და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფასების ცვლილებაზე სექტორში. უწყება მოკვლევაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ძირითადი საკვები პროდუქტების – კვერცხის, რძისა და რძის პროდუქტების, ხორცის, ფქვილის, პურის, ზეთისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების ფასებზე.

მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, თუ გამოიკვეთება, რომ ადგილი ჰქონდა კონკურენციის კანონის დარღვევას, მათ შორის აკრძალულ კომერციულ პრაქტიკას ან სხვა არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, კომისია გამოიყენებს თავის უფლებამოსილებებს შესაბამისი ზომების მისაღებად.

საკვები პროდუქტების სექტორი კვლავაც CPC-ის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კომისია განაგრძობს ბაზრის მუდმივ მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს კონკურენციის დაცვა და ბაზრის მონაწილეებისთვის სამართლიანი და თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შენარჩუნება.

[წყარო:]

1

პოლონეთის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი (UOKiK)

კონკურენციის დაცვის ოფისმა დაიწყო ორი ანტიმონოპოლიური პროცესი სოფლის მეურნეობის გაყიდვასთან დაკავშირებით

პირველი პროცესი მოიცავს ბრენდებს: New Holland, Case და Steyr, ხოლო მეორე - Claas ბრენდი. სულ 15 ბიზნეს სუბიექტი და 2 მენეჯერი დაადანაშაულეს ბაზრის განაწილებასა და ფასების შეთანხმებაში. რის შედეგადაც, ფერმერები ვერ სარგებლობენ შესაძლებლობით შეიძინონ ტექნიკა უფრო დაბალი ფასებით.

UOKiK-ის პრეზიდენტმა მოიპოვა ინფორმაცია სოფლის მეურნეობის ტექნიკის გაყიდვაში კონკურენციის შესაძლო დარღვევის შესახებ საკუთარი ანალიზის საფუძველზე და მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამოიწვია ორი პროცესი, რომლებიც 17 სუბიექტის წინააღმდეგ მიმდინარეობს.

[წყარო:]

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა, აშშ, კანადის, ავსტრალიის, გერმანიის, ნიდერლანდების, იტალიის, პოლონეთის და ბულგარეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე გადამოწმდა FTC-ს ვებგვერდი.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"